



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY

წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 5

„10“ 10

2022წ

დადგენილება № 19

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უძრავ ქონებაში შემავალი ფართის იჯარით გაცემისა და მასში არსებული მოძრავი ქონების მოიჯარისათვის სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 85-ე მუხლის პირველი და 1¹ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლის მე-5 და 5¹ პუნქტების და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. კვების ობიექტის - სასადილოს ფუნქციონირებისათვის გაცემულ იქნეს იჯარით აუქციონის გზით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, 2 წლის ვადით, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში არსებული უძრავ ქონების ნაწილი, კერძოდ:
 - ა) I სასწავლო კორპუსში, მისამართზე ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N113 – 162,7 კვ.მ ფართი;
 - ბ) II სასწავლო კორპუსში, მისამართზე ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. N122 – 65,4 კვ.მ ფართი;
 - გ) III სასწავლო კორპუსში, მისამართზე ქ. ახალქალაქი, აღმაშენებლის ქ. N119 – 35,7 კვ.მ ფართი.
2. დადგენილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით მასში არსებული მოძრავი ქონება, უძრავი ქონების საიჯარო ხელშეკრულების ვადით, მოიჯარისათვის გადაცემული იქნეს სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. დადგენილების მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოძრავი ქონების სასყიდლიან სარგებლობაში (ქირავნობის ხელშეკრულებით) გადაცემის წლიური გადასახადი (ქირა) განისაზღვროს 30 (ოცდაათი) ლარით.
4. დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული საკითხები შეთანხმების მიზნით წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.
5. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. დადგენილება გაეგზავნოს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატს, ფინანსური დაგეგმარებისა და შესყიდვების სამსახურს და განთავსდეს ვებ-გვერდზე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი



ლავრენტი ჩიბურდანიძე